პრესრელიზი

20 მარტს, 13:00 საათზე, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ჩატარდება საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტების კონფერენცია თემაზე „ძველი ქართული სამწიგნობრო კერები და სასულიერო მწერლობა“.

კონფერენცია მიზნად ისახავს სტუდენტების დაახლოებას სამეცნიერო კვლევით ცენტრთან და მომავალში ცენტრის კვლევით პროექტებში მათ მონაწილეობას. კონფერენციასთან დაკავშირებით, გამოიფინება რამდენიმე გამორჩეული ქართული ხელნაწერი: ვანის ოთხთავი - თამარ მეფის დაკვეთით კონსტანტინეპოლში გადაწერილი სახარება, თავაქარაშვილისეული „ვეფხისტყაოსანი“, გადაწერილი ლევან დადიანის დაკვეთით. ექსპოზიციის ფარგლებში ნაჩვენები იქნება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრის კოლექციების მიხედვით მომზადებული ვიდეო-ინსტალაცია.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი აქტიურად მუშაობს საგანმანათლებლო აქტივობების პოპულარიზაციაზე; შესაბამისად, აღნიშნული ღონისძიება მრავალმხრივი ინფორმაციის მომცემი იქნება სტუდენტებისთვის და, ასევე, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით გადაღებული ვიდეო-ინსტალაცია წარმოაჩენს, თუ რამდენად ორგანულად ერწყმის ერთმანეთს ხელნაწერი კულტურა და თანამედროვეობა.

#

საკონტაქტო ინფორმაცია

მარიამ ჯაგიძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

Tel: 577 977 199

მარია წერეთელი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

Tel: 598 84 84 88

E-mail: pr@manuscript.ac.ge

Web: www.manuscript.ge